ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N

6.11.2025

მიმდინარე წლის 6 ნოემბერს დღის 13 სთ-ზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი, წევრები ზურაბ ონიანი , დალი ტვილდიანი, ა(ა) პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ინგა ონიანი.

სოციალურ საკითხთა თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი

ა(ა)ი პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 9 თვის ანგარიში.

/მომხ, ი. ონიანი./

მუზეუმის ხელმძღვანელმა ი. ონიანმა აღნიშნა რომ სუბსიდია 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით 9 თვეში შეადგენს 165400 ლარს. დასაქმებულია 23 თანამშრომელი. ვიზიტორთა რაოდენობა შეადგენს 1002 კაცს. შემონატანი შეადგენს 527 ლარს. მონეტების შეძენისათვის დაიხარჯა 500 ლარი. ძველი საეკლესიო წიგნების და გაზეთების რესტარვაციისთვის 555 ლარი. კულტურული ღონისძიებებისათვის 1000 ლარი. მუზეუმის თანამშრომელთა მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები. მოვინახულეთ და ფირზე აღვბეჭდეთ მოსახლეობაში გაბნეული ძველი სამუზეუმო ნივთები. გრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა კითხვით მიმართა მუზეუმის დირექტორს ინგა ონიანს ლარაშის ციხის აღდგენითი სამუშაოებთან დაკავშირებით ,

კერძოდ თუ მიმდინარეობს აღდგომის ტაძარის აღდგენა, მან აღნიშნა რომ მიმდინარეობს კონსერვაცია.

არქეოლოგიის ხელმძღვანელის შოთა ჩართოლანის მიერ 80 იან წლებში შესრულებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი და შესწავლილი არტეფაქტებზე დავიწყეთ მუშაობა.

კომისიამ გადაწყვიტა ; ი. ონიანის მიერ წარმოდგენილი 9 თვის ანგარიში შეფასდეს დადებითად და მოსმენილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

სხდომა დამთავრდა 14-სთ-ზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /ც. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 2025 წლის

ცხრა თვის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2025 წლის ცხრა თვის მონაცემებით მუზეუმის ბიუჯეტი შეადგენს 165 400 ლარს. მუზეუმში დასაქმებულია 23 თანამშრომელი.

ცხრა თვის მონაცემებით ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 1002 კაცი, ხოლო ვიზითორტა შემონატანებმა 527 ლარი.

მ.წ. ცხრა თვის მდგომარეობით ბიუჯეტის ხარჯვამ შადგინა ;

-თანამშრომელთა ხელფასებისთვის -116 579

-მონეტების შეძენისათვის 500 ლარი

-ძველი საეკლესიო წიგნების და გაზეთების აკინძვა რესტავრაციისთვის 555 ლარი

-კულტურული ღონისძიების ორგანიზაციისთვის 1000 ლარი

- იანვრის თვეში განხორციელდა მუზეუმის ძველი საეკლესიო წიგნების და მღვდლის დაზიანებული შესამოსელის რესტავრაცია.
- თებერვლის თვეში მოხდა მუზეუმში არსებული სვანეთის ძველი გაზეთების აკინძვა ,დაკაბდონება და წიგნების სახით შეკვრა. დავაბეჭდინეთ კართოტეკის ბარათები და ექსპონატების პასპორტის ნიმუშები.
- მარტის თვეში მოეწყო გიგა გაბუნიას მიერ 2022-24 წლებში (მეუფე სტეფანეს კურთხევით) ქვემო სვანეთში მოწყობილი ექსპედიციის დროს შეგროვილი მასალების გამოფენა.
- აპრილის თვეში ამოვკრიბეთ მასალები ლარაშის ციხეზე. არქეოლოგიის ხელმძღვანელის შოთა ჩართოლანის მიერ 80-იან

წლებში შესრულებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენლი და შეუსწავლელ არტეფაქტებზე დავიწყეთ მუშაობა.

- მაისის თვეში მოეწყო ,,ღამე მუზეუმის'' ფარგლებში ღონისძიებების კვირეული, ჩოლურის,ლაშხეთის და ლენტეხის თემების ჩარტულობით.
- მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლისა და მუზეუმის ერთობლივი მონაწილეობით ჩატარდა ღონისძიება ,,მომავლის მუზეუმი''
- ივლისის თვეში მოეწყო ახალგაზრდა პოეტებთან შეხვედრა, გავიხსენეთ არსენა ონიანის -საზოგადო მოღვაწის შემოქმედება.
- აგვისტოს თვეში შევისწავლეთ მუზეუმში არსებული და ახლად შეძენილი მუნიზმატიკული მონეტები ,რომლებიც განთავსდა საექსპოზიციო დარბაზში.
- სექტემბრის თვეში მოვინახულეთ და ფირზე აღვბეჭდეთ მოსახლეობაში გაბნეული ძველი სამუზეუმო ნივთები.და გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.

მუზეუმის დირექტორი: ი.ონიანი